ნიუ იორკ სითიში ჯანდაცვის მომსახურების მიღება საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად

ხშირად დასმული შეკითხვები იმიგრანტი ნიუ იორკელებისათვის

ყველა ნიუ იორკელს უფლება აქვს, მიიღოს ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურება მიუხედავად საიმიგრაციო სტატუსისა და გადახდის უნარისა. იზრუნეთ საკუთარ თავსა და ოჯახზე და მიიღეთ ჯანდაცვის მომსახურება, რომელიც გჭირდებათ. მიუხედავად მათი საიმიგრაციო სტატუსისა, ნიუ იორკელებისათვის ქალაქის ბევრი სამსახურია ხელმისაწვდომი, მათ შორის არის ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება.

ჯანდაცვის მომსახურებები

სად მოვძებნო ჯანდაცვის მომსახურება ნიუ იორკ სითიში (New York City, NYC) დაბალ ფასად?
შეგიძლიათ მოძებნოთ დაბალფასიანი ჯანდაცვის მომსახურებები NYC Health + Hospitals (H+H) სისტემაში თქვენს სიახლოვეში, რისთვისაც უნდა შეხვიდეთ შემდეგ ბმულზე: **nychealthandhospitals.org** ან დარეკოთ ნომერზე: 844-692-4692 ან **311**-ზე. ამას გარდა, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შეგიძლიათ მოძებნოთ შემდეგ ბმულზე: **findahealthcenter.hrsa.gov**.

ჯანმრთელობის დაზღვევა

ჯანმრთელობის რომელ დაზღვევაზე შემიძლია გავფორმდე?
იმიგრანტ ნიუ იორკელებს ჯანმრთელობის დაზღვევის ბევრი არჩევანი აქვთ. 18 წლისა და მასზე უმცროს ბავშვებს ასევე ფეხმძიმეებს, რომლებიც ნიუ იორკის შტატში ცხოვრობენ, შეუძლიათ მიიღონ დაზღვევა საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად. NYC-ის ჯანმრთელობისა და მენტალური ჰიგიენის დეპარტამენტს (NYC Department of Health and Mental Hygiene) ჰყავს სერტიფიცირებული კონსულტანტები, რომლებიც დაგეხმარებიან, გაიგოთ, გეკუთვნით თუ არა ჯანმრთელობის დაზღვევა. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ **311**-ზე ან შედით ბმულზე: **nyc.gov/health/healthcoverage**.

თუ უშუალოდ NYC H+H-ში მიხვალთ, მოითხოვეთ ფინანსური კონსულტანტი, რათა დაგეხმაროთ ჯანმრთელობის დაზღვევის გაფორმებაში. უფლება გაქვთ, მიიღოთ მომსახურება თქვენთვის რჩეულ ენაზე, მათ შორის მიიღოთ წერილობითი თარგმანი, ასევე თარჯიმანი პირისპირ ან ტელეფონით.

ამას გარდა, უფლება გაქვთ, გამოიყენოთ საჯარო შეღავათები/დახმარება, როგორიცაა მთავრობის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვა გრძელვადიანი სამკურნალო სტაციონარის გარეთ ისე, რომ ეს თქვენს საიმიგრაციო სტატუსზე თუ საიმიგრაციო მოთხოვნაზე/განცხადებაზე უარყოფითად არ იმოქმედებს. თუ საიმიგრაციო ან სამართლებრივი სახის შეკითხვები გაგიჩნდებათ, დარეკეთ NYC-ის საიმიგრაციო იურიდიული სამსახურის ცხელ ხაზზე: 800-354-0365 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, სადაც მიიღებთ დროულ და უტყუარ ინფორმაციას. ამას გარდა, ისინი დაგაკავშირებენ ქალაქის მიერ დაფინანსებულ უფასო და უსაფრთხო საიმიგრაციო სამართლებრივ დახმარებასთან. ეს ცხელი ხაზი უფასოა და ანონიმური. დახმარება ხელმისაწვდომია 200-ზე მეტ ენაზე.

Mayor's Office of Immigrant Affairs

Health

NYC HEALTH+ HOSPITALS

NYC Care (NYC ზრუნვა)

არ მეკუთვნის ჯანმრთელობის დაზღვევა. როგორ მივიღო ჯანდაცვის მომსახურება?
NYC Care პროგრამაა, რომელიც დაბალ ფასად ან უფასოდ სთავაზობს მომსახურებებს ნიუ იორკელებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ჯანმრთელობის დაზღვევაზე საიმიგრაციო სტატუსის ან გადახდის უუნარობის გამო. NYC Care არ არის ჯანმრთელობის დაზღვევის გეგმა. თუ NYC Care გექნებათ, მიიღებთ წევრობის ბარათსა და დაშვებას ჯანდაცვის მრავალმხრივ მომსახურებებზე. ასევე შეძლებთ, აირჩიოთ თერაპევტი და მიიღოთ წამლები დაბალ ფასში. NYC Care-ის ყველა მომსახურება ხელმისაწვდომია NYC H+H-ის ყველა ობიექტზე ქალაქის ხუთ რაიონში, მათ შორის 11 საავადმყოფოსა და ათობით საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში.

რა ღირს NYC Care და როგორ გავფორმდე ამ პროგრამაში?
NYC Care-ის ჯანდაცვის მომსახურება ან დაბალფასიანია ან უფასოა - დამოკიდებულია ოჯახის ზომასა და შემოსავალზე. NYC Care-ის პროგრამაში გასაფორმებლად დარეკეთ ტელეფონზე: 646-692-2273 ან NYC H+H-ის რომელიმე ობიექტზე მოითხოვეთ ფინანსურ მრჩეველთან შეხვედრა. დამატებითი ინფორმაციისათვის შედით ბმულზე: **www.nyccare.nyc**.

გადაუდებელი დახმარება იმ ნიუ იორკელებისათვის, რომლებსაც არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა

არ მაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, მაგრამ გადაუდებელი დახმარება მჭირდება. როგორ გადავიხადო ამის საფასური?
Emergency Medicaid/გადაუდებელი მედიქეიდი ეხმარება დაბალშემოსავლიან, უსაბუთო ან დროებით იმიგრანტებს, გადაიხადონ ჯანდაცვის ხარჯები გადაუდებელი სამედიცინო საჭიროების შემთხვევებში. იმიგრანტ ნიუ იორკელებს, რომლებსაც არ ეკუთვნით Emergency Medicaid/გადაუდებელი მედიქეიდი, შეიძლება ეკუთვნოდეთ NYC Care, რითაც დაიფარება არაგადაუდებელი მომსახურებები, როგორიცაა წამალი და ჯანდაცვის მომწოდებელთან ვიზიტი.

Emergency Medicaid-ზე გაფორმება ნებისმიერ დროს შეიძლება მომავალში ჯანმრთელობის გადაუდებელი შემთხვევებისათვის. თუ NYC H+H-ში ხართ მისული, მოითხოვეთ ფინანსური კონსულტანტი, რათა დაგეხმაროთ ჯანმრთელობის დაზღვევის გაფორმებაში. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღება ნიუ იორკის ნებისმიერ საავადმყოფოში შეგიძლიათ საიმიგრაციო თუ გადახდის უნარის სტატუსის მიუხედავად. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 844-692-4692 ან **311**.

საიმიგრაციო კანონაღსრულება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

იმიგრანტი ვარ საბუთების გარეშე. შეიძლება, რომ ჩემმა ჯანდაცვის მომწოდებელმა ფედერალურ საიმიგრაციო სამსახურებში, მაგ., საიმიგრაციო და საბაჟო კონტროლის სამსახურში (Immigration and Customs Enforcement, ICE) დამასმინოს?
ჯანდაცვის მომწოდებლები ვალდებული არიან, დაიცვან თავიანთი პაციენტების კონფიდენციალურობა მათი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად. საავადმყოფოები და კლინიკები პაციენტის ინფორმაციას არავის გაუზიარებენ თავად პაციენტის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას კანონი აიძულებს (რაც ძალიან იშვიათია). თუ დამატებითი ინფორმაცია გაინტერესებთ იმის შესახებ, თუ NYC H+H-ის ჯანდაცვის მომწოდებლები როგორ დაიცავენ თქვენს კონფიდენციალურობას, შედით ბმულზე: **bit.ly/letter-immigrant-new-yorkers**.

რა უნდა ვიღონო, თუ ICE-ის ოფიცრები მომადგებიან საავადმყოფოში, სადაც ვმკურნალობ?
თუ ICE-ის ოფიცრებს საავადმყოფოში დაინახავთ, არ ხართ ვალდებული, დაელაპარაკოთ. თუ ICE-ის ოფიცერი შეეცდება თქვენს პირად სივრცეში, მაგ., თქვენს პალატაში შემოჭრას, უფლება გაქვთ, კარები დახუროთ და მოსთხოვოთ მოსამართლის ორდერი (სამართლებრივი დოკუმენტი სასამართლოდან, რომელსაც მოსამართლე აწერს ხელს) თუ აქვს. დამატებითი ინფორმაციისათვის შედით ბმულზე: **nyc.gov/immigrants** და მოძებნეთ **"know your rights" (იცოდეთ თქვენი უფლებები)**. თუ ICE-ის ოფიცერი დაგაკავებთ თქვენ ან თქვენს ახლობელს, დარეკეთ NYC-ის ცხელ ხაზზე 800-354-0365, რათა მიიღოთ უფასო და უსაფრთხო იურიდიული დახმარება.